საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე IV

იოანე IV (ო ქ რ ო პ ი რ ი), ქართლის კათოლიკოსი 980–1001.

კათოლიკოს ბასილ III-ის თხზულების „თხრობაჲ სასწაულთათჳს წმიდისა და ღმერთშემოსილისა მამისა შიოჲსი" მიხედვით, იოანეს მშობლებს შვილი არ ჰყავდათ და წმ. შიო მღვიმელს ევედრებოდნენ შემწეობას. შვილის შეძენის შემდეგ, მშობლებმა ი. IV შიომღვიმის მონასტერს მიაბარეს, სადაც ეზიარა იმ სიწმინდესა და სიბრძნეს, რის გამოც მას ოქროპირი უწოდეს: „რომელი ყოვლითურთ იქმნა სწორ იოანე ოქროპირისა, რომლისა სათნოებანი და საქმენი უკეთუ ვისმე უნდენ ცნობად, მიიღეთ ხელად მისთჳს აღწერილი წიგნი"...

ი. IV საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი ხსენების დღეა 3 (16) მარტი.

წყარო: ჟორდანია თ., ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, წგ. 1, ტფ., 1892 (კანზე: 1893).

ლიტ.: კ ა რ ბ ე ლ ა შ ვ ი ლ ი პ., იერარქია საქართველოს ეკლესიისა, თბ., 1900; საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები, რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2000.

თ. მარგველაშვილი